ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 22 (49) 24 ოქტომბერი 1991

# ცუცა, ხდექ!!!

## — თამაზ ნივნივაძე

**როგორ** ვიფიქრებდი!..

მოკლემეტრაჟიან სატელევიზიო ფილმში („რეკორდი") უცაბედად წარმოთქმული ეს რეპლიკა ჩემი წერილის სათაურში გასატანი თუ გამიხდებოდა!

არადა, ახლაც ყურში ჩამესმის „სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულების მომენტში" მყოფი ზუტა უფროსის სასოწარკვეთილი ხმა — „ცუცა, ხდექ!..."

ვერც გაამტყუნებდი! — კაბისკალთაწამოხდილი და ხელში ქვებით ამხედრებული ცუცა ერთობ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა აბჯარასხმული მამაკაცისათვისაც კი, არათუ დურუ ხუნჭუას სიმინდის ყანაში ნიფხავ-პერანგის ამარა გადაპარული „ამხანაგო წულეისკირი"-სთვის!..

●

ხომ არაფერ შუაშია! მაგრამ, რამდენჯერაც არ უნდა დავინახო ბატონი ნოდარ ნათაძე, იმდენჯერაც ზუტა უფროსი მაგონდება, — ცუცასაგან დაშინებული!

შემჩნეული მყავს: ამ ერთობ უშიშარ კაცზე არაფერი ისე დამთრგუნველად არ მოქმედებს, როგორც მთავრობის „მორიგე ჯარში" გაწვეული მანდილოსნების დანახვა!..

●

თქვენ წარმოიდგინეთ, ეს „მუდმივი ჯარი", აწ უკვე „ქართველ ქალთა ათასეულად" წოდებული, შეუმჩნეველი არც ჩვენს მტერს დარჩენია!

ნახეთ, წლევანდელი „ოგონიოკის" მე-40 ნომერში როგორი შურით წერენ ამაზე ქართველი ხალხის გაშიფრული აგენტები — მოსკოველი ჟურნალისტები!

**„საბჭოთა პრეზიდენტს „შავბერეტიანები" იცავენ, საქართველოსას — „შავკოლგოტკიანებით"!...**

მაგრამ, ნათქვამია, დაცინვას კაცი არ მოუკლავს! — ჩვენ საქმე ვაკეთოთ და სხვებმა დაგვცინონ, რამდენიც უნდათ! ერთბაშად **შავკოლგოტკიანებს** წესიერი ქალისათვის შეუფერებელ საქციელში არ წაასწრონ.

მთავრობის სახლის წინ ცოტა უხერხულად წამოწოლილ ქალბატონებს, თვალი საეშმაკოდ კი არ გაურბით, თავიანთი მზერა საყვარელი პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე აქვთ მიმართული!

აკი მათი გმირობის ამბავი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკამ" ამ დღეებში ქვეყანას ამცნო!

**„ახლა ბევრს ლაპარაკობენ მთავრობის სახლთან მდგომ ბატონ ზვიადის დამცველ ქალებზე, მაგრამ მათ ჩვენს თანადგომაში, დახმარებაში და მობილიზებაში დიდი წვლილი შეიტანეს. იცით, დაახლოებით თორმეტის ნახევარზე ბატონი ზვიად გამსახურდია ორჯერ გამოვიდა ხალხში და უნდოდა მიელო ბრძოლაში მონაწილეობა, მაგრამ ეს ქალები გადაუდგნენ წინ და არ მისცეს უფლება, მტერს ხელში ჩავარდნოდა"....**

თქვენ ხომ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მშურდა იტალიელი ბატების, — თავის დროზე რომი რომ გადაარჩინეს!

ახლა ცოტა დავწყნარდი, — ჩვენთან რომ ქალებმა გამოიჩინეს თავი და უხერხული ტყვეობიდან იხსნეს... პრეზიდენტი!

უხერხული კი ნამდვილად იქნებოდა! — რადგან ამ თანამდებობაზე ის მისი „დამტყვევებელი" ხალხის მიერაც იყო არჩეული!

მართალია, რაკი ამომრჩევლები თავიანთ პრეზიდენტს ამოიცნობდნენ, იმ წუთას გაათავისუფლებდნენ, მაგრამ ჩვენი მეომარი დებისა და დედების გარჯაც დასაფასებელია, — უთქვამთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო!

თუ არ მიწყენთ, კიდევ ერთ უხერხულ მხარესაც გავუსვამ ხაზს!

მთავრობის სახლის წინა მოედანზე შეკრებილ ხალხს—არც ერთი მხრიდან! — არავითარი იარაღი არ გააჩნდა! — აქ „ბრძოლა", ძირითად, ქვების სროლით ამოიწურებოდა!

ასეთ ვითარებაში, ხალხის დიდი უმრავლესობით (87%) არჩეული პრეზიდენტი, თავის ამომრჩევლების წინაალმდეგ, ცხადია, ცეცხლმსროლელ იარაღს ვერ გამოიყენებდა!

ხოლო თუ ბრძოლაში თანაბარ პირობებში ჩაებმებოდა, კიდევ უფრო სასაცილო იქნებოდა! — ამხელა თანამდებობის კაცი ქვებგატენილი ჯიბეებით ვინმეს ქუჩაში რომ ენახა!..

თავის დროზე გაზეთი „საქართველო" აღშფოთებული წერდა პრეზიდენტის მისდა უნებლიეთ უხერხულ დღეში ჩაყენების გამო. პრეზიდენტი, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, მის ღირსებას მუდამ უნდა ვუფრთხილდებოდეთ! ამას უკვე სრული სერიოზულობით ვაცხადებ.

●

ეს უხერხულობა რომ არა, სხვა მხრივ, ქალების სამხედრო თვალსაზრისით გამოყენება, არა მარტო საქართველოს ისტორიაში, — ქართულ ლიტერატურაშიც გვხვდება!

თვით გენიალური „ვეფხისტყაოსანიც" ამის დასტურია! — გარდა ფატმანისა, უმშვენიერესი ნესტან-დარეჯანიც კი ასრულებს „საიდუმლო" დავალებებს!

გავახსენებთ ეპიზოდს, სადაც ფატმანი (ცხადია, ავთანდილის კარნახით!) „მცირე" ჯაშუშურ დავალებას სთავაზობს ნესტან-დარეჯანს!

**„ჩვენ ამისთვის უხე მონა
გამოვგზავნეთ თქვენსა წინა,
ვცნათ ამბავი ქაჯეთისა, მოსრულანცა ქაჯნი შინა?.."**

მიაქციეთ ყურადღება! ამ ფრაზაში „დივერსიული" მახვილი, თითქმის მთლიანად, ამ ამბებისკენაა მიქცეული! — „მოსრულანცა ქაჯნი შინა?"

მაგრამ ფატმანის მხარე მარტო ამ დავალების მიცემით ვერ შემოიფარგლებოდა, კიდევ მეტი, „ცოცხალი" ინფორმაციის მიღება იყო საჭირო!

ესეც ნელ-ნელა „შეაპარეს!"

**„მანდაურთა მეომართა ანგარიში
წვრილად გვინა:
ვინ არიან მცველნი შენნი, ან
თავადი მათი ვინ-ა?"**

აქ ახლა უკვე მთლიანად გამჟღავნდა, რაც ავთანდილის „საიდუმლო სამსახურის" წარმომადგენელს, ფატმან-ხათუნს აინტერესებს!

რაკი „შიფრი" გაიხსნა, ამის შემდეგ აღარც კუკუმალობანას თამაშია საჭირო! და ფატმანიც ბოლომდე გაეხსნა პატარა მზეთუნახავს! —

ერთი სიტყვით, ჩემო ნესტანო — **„რაცა იცი მანდაური, მომწერე, გაამჟღავნე"**-ო!

ამ საქმის მე რა გამეგება! — მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მსგავსი ჯაშუშური დავალება, — ასე მხატვრულად და ასე დელიკატურად! — არსად და არც ერთი ქვეყნის რეზიდენტისათვის ჯერ არავის მიუწოდებია!

ახლა ისიც ვნახოთ, როგორ შეასრულა უმშვენიერესმა „დამწყებმა" დივერსანტმა ეს საიდუმლო დავალება!

შეიძლება პირდაპირ ითქვას, უმცირეს ნიუანსამდეც კი!

ნესტანის საპასუხო წერილიდან ფატმანს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე „ეცნობა":

**„ქაჯთა მეფე არ მოსულა, არცა
ძოვლენ ქაჯნი ჯერე!..."**

ამით კი, პატარა რეზიდენტმა დიდი „ქსივი" გაუშვა ქაჯეთის ციხიდან — „არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე"-ო!

ხოლო „საყვარელთა თანა" მიწერილ წერილში კიდევ უფრო აკონკრეტებს „გამჟღავნებულ" ამბავს და მომავალ საბრძოლო პლაცდარმსაც შესაშური ოსტატობით ხატავს!

**„ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი
ძლივ გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი
მუნ ზედა დგებიან..."**

ერთი სიტყვით, „გზა გვირაბითა შემოვა" და, — აბა, შენ იციო!..

●

დღევანდელ პირობებში გაცილებით მრავალდარგოვან მუშაობას ეწევა მთავრობის სახლის შენობასთან ჩამოყალიბებული „ყუთლუარსლანის კარავში" გაერთიანებული ქართველი მანდილოსნები!

ვილაცის საიდუმლო კაბინეტთან შექმნილი ეს სამსახურები არა მარტო „საიდუმლო ცნობების" შეკრებას ემსახურება, არამედ, ზშირ შემთხვევაში, გაცილებით ეფექტურადაც ესხმის თავს საქართველოში მოღვაწე კრემლის აგენტებსა და ხალხის მტრებს!

მართალია, ვინ ერთგულია სამშობლოსი და ვინ არა, ამას ქალის გუმანი უფრო უტყუარად გრძნობს, მაგრამ გარკვეული ცდომილება არც ამ „უბანზეა" გამორიცხული!

შეცდომისაგან დაზღვეული რომ არა ვართ, ამას ახლავე აგიხსნით, ჩვენო ძვირფასო ქალებო!

მაგალითად, აკაკი ბაქრაძე საკავშირო მთავრობას ცალკეულ დავალებებს, შეიძლება, კიდეც უსრულებდა, მაგრამ ეს ჯაშუშური საქმიანობა იმდენად გვიან დაიწყო და იმდენად ადრე შევუტყვეთ, რომ, არა მგონია, კრემლის სრულფასოვან აგენტად ჩამოყალიბება მოესწრო!

თუ არ მეშლება, მე პირადად, გადაჭარბებულად მიმაჩნია ჰაბუა ამირეჯიბის კრემლის აგენტობაც! რაკი იგი 18 წელიწადი იჯდა საკავშირო მნიშვნელობის ციხეებში, შეზღუდული სივრცის გამო, ცხადია, იმ წლებში კრემლს ვერავითარ მნიშვნელოვან სამსახურს ვერ გაუწევდა! ახლა კი, რაც არ უნდა ინტენსიურად იღვწოდეს სამშობლოს გაყიდვის სადარაჯოზე, იმ დაკარგული დროის ამოქაჩვას, ძვირფასო ქალებო, მაინც ვერ შესძლებს!

ელდარ შენგელაიას საქციელს კი, ისედაც ვერაფერს გაუგებს კაცი! — რომ გგონია კრემლისთვის მუშაობსო, მისდა უნებურად და, ალბათ, გამოუცდელობის გამოც, ქართველი ხალხის სამსახური უფრო გამოუდის!

გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ჩემი კრემლის აგენტობის საქმეც გაცილებით რთულადაა! მე ამის დიდი სურვილიც რომ მქონდეს, მოსკოველი რეზიდენტები თავიანთ რიგებში მაინც არ გამაწევრიანებენ თუნდაც იმიტომ, — რუსული ენა საერთოდ არ ვიცი!

ამ საქმეში კი „თარჯიმანთან" ერთად მუშაობა თითქმის წარმოუდგენელია!

ასე რომ, ჩვენო დიდებული დებო და დედებო, ცოლებო და, ზოგჯერ, ყველა ამათზეც უფრო საყვარელო ქალებო, უმორჩილესად გთხოვთ, კრემლის აგენტებისა და ხალხის მოღალატეების გამომჟღავნების საქმე, როგორც ამას ადრე ვაკეთებდით, ახლაც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს მივანდოთ!

რაკი ეს ორგანიზაცია უკვე ეროვნული გახდა, ცხადია, მით უფრო ყურადღებით მოეკიდება ამ დიდმნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს!

თანაც, ახლა „მტრის" ამოცნობა ხომ ისედაც გაიოლებულია! — რაც უფრო გამორჩენილ და ყველასათვის საყვარელ პიროვნებასთან გვაქვს საქმე — ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს! — სწორედ ისაა ხალხის მტერი!..

ამიტომ, ძვირფასო ქალებო! უმორჩილესად გთხოვთ, როგორც ირმები ტყეებს, თქვენც ისევე უნდა დაუბრუნდეთ უთქვენობით თითქმის გაპარტახებულ ოჯახებს!

მე კიდევ გარწმუნებთ: არავითარი საფრთხე თქვენს პრეზიდენტს არ ემუქრება, — იმას ხომ, თქვენს გარდა, მამაკაცებმაც მისცეს ხმა!

დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, პრეზიდენტის პიროვნულ ღირსებას მამაკაცები უკეთ დაიცავენ!..

●

ახლა კი თქვენც მინდა მოგმართოთ, ნაკლებად ძვირფასო მამაკაცებო!

ერთი, მითხარით, ვიდრე ეს თქვენი დედები, დები და ცოლები მთავრობის სახლთან შეერთებოდნენ და ქალთა საგანგებო ბატალიონად იქცეოდნენ, იქამდე ხომ თითო-ოროლად გამოდიან ოჯახებიდან?!

აბა, თქვე კაი ხალხო, ვიდრე ისინი კარვებთან შეიკრიბებოდნენ ანდა სულაც იქ წამოწვებოდნენ, იქნებ გეცადათ და, ადგილზე გაგეუვნებელყოთ!

ამით ხომ თქვენს მამაკაცურ ღირსებასაც გადაარჩენდით და აღარც ქართველი ქალის პრესტიჟის ულმერთოდ დაქვეითებას შეუწყობდით ხელს!..

სხვა რომ არაფერი, თქვენი ოჯახის მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, ნახევარი თბილისი, კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ტერორის ქვეშ ჰყავს მოქცეული!

ამათ გადამკიდე, ამ ნახევარ თბილისს, აღარც ქალის და აღარც ტელეფონის სახელის გაგონება აღარ სურს!..

●

როგორ ვიფიქრებდი!..

მოკლემეტრაჟიან სატელევიზიო ფილმში უცაბედად წარმოთქმული ეს რეპლიკა ჩემი წერილის სათაურში გასატანი თუ გამიხდებოდა!

არადა, ახლაც ყურში ჩამესმის „სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულების მომენტში" მყოფი „ზუტა უფროსის" სასოწარკვეთილი ხმა — „ცუცა, ხდექ!"...

ვერც გაამტყუნებდი! კაბისკალთაწამოხდილი და ხელში ქვებით ამხედრებული ცუცა ერთობ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა აბჯარასხმულ მამაკაცისათვისაც კი, არათუ დურუ ხუნჭუას ყანაში ნიფხავ-პერანგის ამარა გადაპარული „ამხანაგო წულეისკირი"-სთვის!..

# როცა კაცს სირცხვილი არ სწამს...

დადგა დრო, ხალხს დემოკრატია, თავისუფლება და დამოუკიდებლობა უნდა. ადრინდელ სოციალისტურ ლოზუნგებს ნულარ ამოვატივტივებთ, ახალ ტირანებს და უწიგნურებს ნუ მივცემთ გასაქანს. ვიყოთ ფხიზლად, გულწრფელად ვეძიოთ ღირსეულნი, მაგრამ ზოგი რამ მაინც უნდა ითქვას. ჩვენს რაიონში პირველ პრეფექტად იყო ვინმე ავთანდილ რცხილაძე, თუ როგორ მუშაობდა, როგორ მოქმედებდა ის რაიონში, ვფიქრობ ყველასათვის ცნობილია.

ბატონი რცხილაძე წარმოება-დაწესებულებებში, საზოგადოებრივ მეურნეობებში და სხვადასხვა ორგანიზაციებში მშრომელებთან შეხვედრაზე რომ მიდიოდა, მხოლოდ თავს იქებდა, ამას და ამას გავაკეთებო. მაგრამ იელავიდან ისე წავიდა, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის არაფერი გაუკეთებია.

მართალი გითხრათ, ამ წერილის დაწერის სურვილი უფრო იმანაც აღმიძრა, თბილისში მრავალათასიანი მიტინგი კომენტარებით თვით ამ რცხილაძეს რომ მიმყავდა, ხალხნო, ეს რა ხდება, ჩვენს თავს — ამ ეგრეთწოდებულ კაცს განა ჰქონდა ამის მორალური უფლება? სირცხვილი არ არის, თელავიდან უსახელოდ წასულს ასეთ საქმეს რომ აკისრებენ? აი, ამიტომაც, ხალხმა აღარ იცის, ვის მხარეს დადგეს!..

რაც შეეხება ავთანდილ რცხილაძის ახლანდელ გამოსვლებს მრავალათასიან მიტინგებზე. **ᲨᲣᲚᲚᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲚᲕᲘᲕᲔᲑᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡ ᲗᲔᲡᲐᲕᲡ!**

ბატონ თამაზ წივწივაძის ფელეტონი, ამ დღეებში რომ დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში", კიდევაც მკრთალად ასახავს რცხილაძის პიროვნებასა და პორტრეტს. სამწუხარო ის არის, რომ ბატონმა თამაზ წივწივაძემ ჩვენი ნაპრეფექტალის ბევრი საქმენი საგმირონი ჯერჯერობით არ იცის.

**ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,**

ვეტერანი ჟურნალისტი.
გაზ. „კონდოლი", გამოდის თელავის რაიონში. 19 ოქტომბერი, № 11-12

**ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!**

**ამა წლის 29 ოქტომბერს მეტად ღირსშესანიშნავი ფაქტი მოხდება ბოლო ხანების ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში — გაიმართება სასამართლო პროცესი გაზეთისა და მისი ავტორის წინააღმდეგ!**

**სასამართლოზე წარდგენის „პატივი" წილად ხვდა ჩვენს გაზეთსა და კრიტიკოს თამაზ წივწივაძეს.**

**მოსარჩელე გახლავთ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ბატონი ავთანდილ რცხილაძე.**

**პროცესი შედგება 29 ოქტომბერს, ვაკის რაიონის სასამართლოში (ირაკლიშვილის ქ. № 3), დილის 11 საათზე.**

**დასწრება თავისუფალია!**

# სექტემბრის კრიზისი, ანუ რევოლუცია და პიროვნებათა ტრაგედიები

## თემურ ფიფია

**დღეს** მრავალნი ცდილობენ აღწერონ, გააანალიზონ, შეაფასონ 1991 წლის სექტემბრის მღელვარე დღეები. ბევრი რამ, რაც დღეს იწერება ამ მოვლენების შესახებ, სუბიექტურობის დაღლას ატარებს და ვერ გამოხატავს რეალობას, მაგრამ ისტორიის მიუკერძოებელი მსაჯული თავის დროზე ამ ნაწერებშიც აღმოაჩენს მნიშვნელოვან და საინტერესო შტრიხებს.

ჩვენს თავს შევიკავებთ მოვლენების ემპირიული ანალიზისაგან, თუმცა, ამ პროცესების უშუალო მონაწილე ვართ. ეს არ არის ფილოსოფოსის საქმე. ჩვენ შევეცდებით, ჩავიხედოთ იმ სიღრმეებში, რამაც წარმოშვა სექტემბრის კრიზისი და რა გავლენას მოახდენს იგი საქართველოს მომავალ პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ის, რაც 1991 წლის შემოდგომაზე თბილისში მოხდა, ორ თეზისად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1. „მრგვალი მაგიდის“ მიერ 10 თვის მანძილზე წარმოებული პოლიტიკური კურსის სრული კრახი. 2. ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუცია (მიუხედავად სიტყვა რევოლუციის უარყოფითი დატვირთვისა, ჩვენ მაინც შესაძლებლად მივიჩნევთ მის გამოყენებას).

პირველი თეზისის დასაბუთება არც ისე რთულია. თავისთავად, ის ფაქტი, რომ ქუჩაში გამოვიდა 60 ათასი კაცი და მოითხოვა არსებული ხელისუფლების გადადგომა, ნიშნავს ამ ხელისუფლების სრულ გაკოტრებას, მით უმეტეს, როცა საქართველოში არსებობს მრავალი, მაგრამ არ არსებობენ მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიები და მათი გავლენა მასებზე ძალზე უმნიშვნელოა.

მაინც როგორი ხელისუფლება გვყავს ჩვენ დღეს და რაშია მისი მთავარი მანკიერება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართავთ ჯერ კიდევ 1990 წლის 13 ივნისს გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებულ წერილს „ისტორიული პარალელები და მომავლის პროგნოზი“, სადაც პირველად მივუთითეთ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში არსებულ ორ ტენდენციაზე — 1. თავისუფლებისათვის და 2. ხელისუფლებისათვის ბრძოლაზე. უკვე მაშინ საგრძნობი ხდებოდა, რომ ეროვნულ მოძრაობაში იმარჯვებდა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ტენდენცია და აშკარად ჩანდა მისი გააბსოლუტურების საფრთხე. გავავლეთ რა ისტორიული პარალელი დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ძალებთან, ვაჩვენეთ, ამჟამინდელი ხელისუფლებისათვის მებრძოლი ძალები ზუსტ ანალოგს პოულობდნენ სოციალ-დემოკრატებთან (არა როგორც თეორიულ მოძღვარეობასთან). სამწუხაროდ, ეს პროგნოზი ზუსტი აღმოჩნდა, 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა ძალებმა აბსოლუტური სიზუსტით გაიმეორეს საქართველოში სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთის მანკიერებანი.

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ მთელ იმპერიაში მიმდინარე გლობალური გარდაქმნების პროცესს ერთი უმთავრესი მამოძრავებელი — სოციალური საკითხების გადაწყვეტა აქვს. სწორედ ადამიანთა სოციალური პრობლემების მოუგვარებლობა ქმნის უდიდესი აფეთქების საფრთხეს, რომლის განმუხტვასაც ასე გულმოდგინედ ცდილობენ პერესტროიკის შემოქმედი თავები. რადგანაც საბჭოთა კავშირი ხალხთა საპყრობილეა, ცხადია, სოციალურ საკითხებს მიემატა ეროვნული მოძრაობებიც. მაგრამ პერესტროიკის შემოქმედნი არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობენ, რომ, თუკი შეძლებენ სოციალური პრობლემების გადაჭრას, ამას აუცილებლად მოჰყვება ეროვნული საკითხის მოგვარებაც. საბოლოოდ ეს ასე არ იქნება, მაგრამ რაღაც ეტაპზე სოციალური პრობლემების გადაწყვეტა დროებით შეაჩერებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპირველესი ნიშანი ისაა, რომ იგი საერთო ეროვნული მოძრაობაა. ეროვნული თავისუფლება ერთნაირად აუცილებელია ერის ყველა ფენისათვის. თავისუფლება ვერ მიიღწევა, თუკი იგი ერის რომელიმე ნაწილის წინააღმდეგ არის მიმართული. ამის კლასიკური მაგალითი ინდოეთმა მოგვცა, სადაც ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლამ მტკიცედ შეადუღაბა კასტებად, ჯგუფებად, რელიგიებად, ეროვნებებად და ა. შ. უთორესად დაქუცმაცებული და დაპირისპირებული მოსახლეობა. როგორც წესი, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას სათავეში უდგანან, ასე ვთქვათ, წარჩინებული ფენები — შეძლებულთა კლასი და ინტელიგენცია. შემთხვევით არ მომხდარა, რომ მარქსიზმი ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლას ბურჟუაზიულს უწოდებდა. ეროვნული მოძრაობა, ასე ვთქვათ, „კუჭს იქით“, მიწიერ ღირებულებებზე ამაღლებული მოძრაობაა.

თავის დროზე შევეცადეთ, გვეჩვენებინა (გაზ. „საქართველო“, 12. III. 91), რომ ამჟამად საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არავითარ სერიოზულ ძალას არ ემყარება, რომ ეროვნული მოძრაობა არის რომანტიკული მოძრაობა, რომელსაც რეალური სოციალური საყრდენი არა აქვს, მაგრამ არსებობს, როგორც ქართული გონის მოთხოვნილება, რომლისკენაც სოციალური პრობლემების მოგვარების შემდეგ უნდა მიიმართოს ქართველი ერის განვითარება.

პერესტროიკის ჩარჩოებში ჩაყენებულმა სოციალურმა მოძრაობამ თავისებური გამოვლენა ჰპოვა საქართველოში. რადგან საქართველო იყო და დღესაც არის იმპერიის შემადგენელი ნაწილი, ცხადია, აქაც უამრავი სოციალური პრობლემაა დაგროვილი. სოციალისტურ საზოგადოებად წოდებული გაურკვეველი წარმონაქმნი საბოლოოდ ელიტარულ საზოგადოებად ჩამოყალიბდა. ნომენკლატურა ფაქტობრივად ახალ წოდებად გადაიქცა, რომელმაც ხელთ იგდო მთელი ეკონომიკური ცხოვრება. ცენტრშიც და საქართველოშიც გაჩნდნენ „ჩაგრულთა ფენები“, რომლებიც მოითხოვენ ადგილს „მზის ქვეშ“. ამდენად, სტრუქტურის თვალსაზრისით, ამჟამად იმპერიაში მიმდინარე პროცესები 1917 წლის პროცესების იდენტურია.

მაგრამ საქართველოში გარდაქმნის პროცესი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელით შეიმოსა. ამაში უდიდესი როლი შეასრულა ქართული ინტელიგენციის მთელი თაობის მიერ ეროვნული თავისუფლების უპირველეს ღირებულებად დასახვამ. XX საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ეროვნული იდეოლოგია დამოუკიდებლობისაკენ იყო მიმართული. ქართულმა აზროვნებამ ძირითადი აქცენტი ეროვნულ თავისუფლებაზე გადაიტანა. კულტურის სხვადასხვა დარგებში შექმნილ ნაწარმოებებში ამ იდეის ჩადება მათი წარმატების გარანტი იყო. ასეთ პირობებში, სოციალურ პრობლემებს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, პერესტროიკით აღძრულ მოძრაობას ქართულმა აზროვნებამ ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების აბსტრაქტული იდეა შეაგება, თუმცა, როგორც ითქვა, ამ მოძრაობას სრულიად სხვა, სოციალური მიზანი და ამოცანები ჰქონდა დასახული.

მაგრამ, მოდით გავარკვიოთ, რას ნიშნავს სოციალური მოძრაობა? ზოგადად, იგი გულისხმობს ადამიანთა მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლას. სოციალისტური წყობილების კრიზისი იმაში გამოვლინდა, რომ მან ვერ დააკმაყოფილა საზოგადოების ვერც ერთი ფენის მისწრაფება. ამიტომ, ამ საზოგადოების შეცვლის მოთხოვნა ფაქტობრივად ყველა ფენისათვის მისაღები იყო. ამ მხრივ, უკმაყოფილება საერთო იყო და ერთნაირად ეხებოდა მუშას, გლეხს თუ ინტელიგენციას. ამდენად, სოციალურ უკმაყოფილებას კლასიკური, მარქსისტული გაგებით კლასობრივი ბრძოლის ფორმა არ მიუღია. ქართულმა აზროვნებამ შეძლო ამ უკმაყოფილების საწყისად ცენტრი, იმპერია დაესახა, რითაც აიცილა ერს შიგნით კონფრონტაცია.

მაგრამ უკმაყოფილოთა შორის არსებობს განსხვავება. მათ ერთ ნაწილს ისინი შეადგენენ, რომელთა უკმაყოფილება არსებული ობიექტური გარემოებებით, საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობით არის გამოწვეული. ასეთები მოითხოვენ სტრუქტურულ ცვლილებებს და არა პიროვნულს. მაგრამ, არსებობს უკმაყოფილოთა მეორე კატეგორია. არცთუ ისე მცირერიცხოვანი, რომელთა უკმაყოფილება სუბიექტური მიზეზებით არის გამოწვეული. ისინი არიან ყველა საზოგადოებაში, ერში და მათი უკმაყოფილების საფუძველია ადამიანებს შორის რეალურად არსებული დიფერენციაცია, რაც ადამიანების გონებრივი და ფიზიკური მონაცემების განსხვავებით არის გამოწვეული. შური, ბოღმა, სხვა ქვენა გრძნობები სწორედ ამ დიფერენციის შედეგია. მე მგონია, კაცობრიობის ისტორიაში საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ბნელი მხარე უდიდეს როლს თამაშობს, თუმცა, ისტორიკოსები მას ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ. შეიძლება იმიტომაც, რომ მისი გავლენა ზედაპირზე საერთოდ არ ჩანს ისტორიის ნელი დინებისას, მაგრამ რევოლუციური ცვლილებების დროს მთელი ეს ქაფი და ჭუჭყი ერთბაშად წამოიშლება და აბნელებს გარდაქმნის ჭეშმარიტ მიზნებს. საერთოდაც, თავად რევოლუციასაც, რომელსაც მისი შემოქმედნი ჭეშმარიტ და კეთილშობილ მიზნებს უსახავენ, სახელი სწორედ „მონათა შურისძიების“ ამ მდაბალმა მისწრაფებებმა გაუტეხა.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, (გაზ. „დრონი“, 16. VIII. 91) „მრგვალი მაგიდის“ არჩევნებში გამარჯვების უმთავრესი მიზეზი სოციალურ გარდაქმნებს მოწყურებული მასებისათვის მათი განხორციელების დაპირება იყო. როგორც ითქვა, ამით „მრგვალმა მაგიდამ“ ეროვნული მოძრაობა სოციალურ მოძრაობად გადააქცია, რითაც ფაქტობრივად რეალური ვითარება დააფიქსირა. თუ რატომ გააკეთა „მრგვალმა მაგიდამ“ ეს, ვფიქრობ, ნათელია — ეს იყო უმოკლესი გზა ძალაუფლებისაკენ.

მაგრამ პოლიტიკაში ოდნავ ჩახედული ადამიანებისათვის იმთავითვე გარკვეული იყო, რომ ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური პრობლემების ერთდროული მოგვარება შეუძლებელია და ამის დაპირება პოპულისტურ ლოზუნგს წარმოადგენდა.

ამდენად, მოსახლეობის სოციალური განწყობა დამოკლეს მახვილივით ეკიდა გამარჯვებული ბლოკის თავზე.

ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე თვეებში „მრგვალი მაგიდის“ მესვეურთათვის ცხადი გახდა, მათი მდგომარეობის მთელი ტრაგიზმი. გადასაწყვეტი იყო ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, რაც მთელი ერის კონსოლიდაციას და მთელი მისი ინტელექტუალური პოტენციალის ამოქმედებას მოითხოვდა. მაგრამ ქუჩიდან გამოყოლილმა ენთუზიაზმმა და არჩევნებში დიდმა წარმატებამ ახალმოვლენილ მმართველებს ცუდი სამსახური გაუწია. მათ ვერ შეძლეს ვითარების და თავიანთი ახალი მდგომარეობის გაცნობიერება. შენებისათვის მათ ძალა არ ეყოთ და არც სხვას უხმეს დასახმარებლად.

მას შემდეგ, რაც ნაგემნი იქნა ხელისუფლების სიამენი, მათზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელი შეიქნა, მით უმეტეს, გამარჯვებულთა უდიდეს უმრავლესობას უპოვარი ადამიანები შეადგენდნენ.

მართვის აბსოლუტურმა უცოდინრობამ აიძულა ისინი, მტრად მოჰკიდებოდნენ მათზე ჭკვიან და ნიჭიერ ადამიანებს, რადგან მდგომარეობით უკვე მათზე მაღლა იდგნენ. უცოდინართათვის მუშტის მმართველობა ყველაზე უფრო მარტივი და შესაძლებელი მმართველობაა და ამის საუკეთესო საშუალებას ადრინდელი ტოტალიტარული მმართველობის წესი იძლეოდა. ამიტომაც, აღმოჩნდა, რომ თურმე „სოციალიზმს გარკვეული დადებითი ღირებულებები ჰქონია და საჭიროა მისი გამოყენება“, რომ გაცილებით ადვილია შენი პოლიტიკური ოპონენტი ტელევიზიას არ გააკარო, ვიდრე მასთან დიალოგში მთელმა ქვეყანამ შენი უსუსურობა და უცოდინარობა დაინახოს. ასევე ადვილია მონოპოლია აილო ე. წ. ოფიციალურ გაზეთებზე და იქ შენი ყურმოჭრილი რედაქტორები დასვა, რომლებიც ჭკვიანსა და ნიჭიერს კარისაკენ მიუთითებენ. მაგრამ ამ პოლიტიკას თავისუფლებასა და დემოკრატიას მოწყურებულ და რაც მთავარია, ამისათვის მზადმყოფ ერში, ასე ადვილად ვერ დაამკვიდრებ.

ამისათვის აუცილებელი იყო იდეური დოქტრინა და ისიც გაჩნდა — 28 ოქტომბერი უსისხლო რევოლუციად მოინათლა და თუ რევოლუცია მოხდა, ე. ი. უნდა არსებობდნენ რევოლუციონერები და კონტრრევოლუციონერები, ერის გმირები და ერის მტრები, ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი, დაჩაგრულები და დამცირებულები, „ელიტარები და ორდენოსნები“, და თუ ცხოვრებაში წინსვლა არ იგრძნობა, ეს იმიტომ, რომ ერის მტრები, შინ თუ გარეთ, ხელს გვიშლიან ახალი საზოგადოების აშენებაში. ისინი „კრემლის აგენტები“ არიან და უნდა განადგურდნენ, თუ გვინდა ბედნიერები ვიყოთ — ასეთია რევოლუციის ლოგიკა. აი, ასე უნდა შეიქმნას შიშის ვითარება, რაც პრიმიტიული ავტორიტარული მმართველობის პირობებს შექმნის მხოლოდ, რომელიც მათ ხელეწიფებათ.

ძალზე მოკლედ ყოველივე ეს ერთ წინადადებაში შეიძლება შეჯამდეს — **ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის დროშით ხელისუფლებაში მოსული ადამიანები სინამდვილეში სოციალური რევოლუციის განმახორციელებლები აღმოჩნდნენ. ძალაუფლების შენარჩუნების ლოგიკამ მოითხოვა მტრის ხატის გარედან შიგნით შემოტანა.**

●

ასეთ პოლიტიკას მოჰყვა სავალალო შედეგი — ეროვნული ერთიანობის დარღვევა — რომელიც ყველაზე უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამგვარად, „მრგვალი მაგიდის“ რეალური პოლიტიკა დიამეტრალურად საწინააღმდეგო აღმოჩნდა ხელისუფლებაში მათი მოსვლის მიზანთან — ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებასთან. ესაა „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკის სრული კრახის და მათი ტრაგედიის უმთავრესი მიზეზი.

ამ მცდარი პოლიტიკის გატარებას ხელი შეუწყეს იმ სოციალურმა ძალებმაც, რომლებიც, როგორც ჩანს, ყველა დროს და ყველა საზოგადოებაში არსებობენ და პროგრესს არ ექვემდებარებიან. რადგანაც ძველი, ტოტალიტარული სტრუქტურები არ იქნა მოშლილი და მათ მხოლოდ სახელები შეეცვალათ, ცხადია, კრიტიკა უნდა მიემართათ პიროვნებათა წინააღმდეგ. სწორედ ამის გამო, ამოტივტივდა ზემოთ სოციალურად უკმაყოფილოთა მეორე კატეგორია, რომელთაც დრო იხელთეს, ნიჭიერთა, ჭკვიანთა ანგარიშის გასასწორებლად. გადავხედოთ „მრგვალი მაგიდის“ „იდეოლოგების“, პეტრიაშვილების, ტალიაშვილების, გველესიანების, წიკლაურების წერილებს, მთავრობის ერთგულ რადიო და ტელეჟურნალისტთა გადაცემებს, მშრომელთა ბარათებს „ორდენოსანი“ და „ელიტარული“ ინტელიგენციის წინააღმდეგ და თვალნათლივ ვნახავთ, თუ როგორ გაუხსნეს სადინარი ადამიანის სულის ბნელ ჭაობებს. შეგაძრწუნებთ იმის დანახვა, თუ რამდენად შურიანი, ბოროტი, ღვარძლიანი შეიძლება იყოს ადამიანი. ჩვენს თვალწინ დატრიალდა „მდაბიორთა შურისძიების“ ულმობელი ბორბალი და კიდევ კარგი, ეს მოხდა XX საუკუნის მიწურულს, როცა თითოეული ერის ისტორია, უკვე მსოფლიო ისტორიის ნაწილია, თორემ 37 მოგონილი იქნებოდა. მაგრამ მაინც, სხვებთან შეუთავსებლობამ, პიროვნულმა ამბიციებმა. საკუთარი აზრის ერთადერთ ჭეშმარიტებად დასახვამ და სხვისი აზრის მიუღებლობამ, საკუთარი ნაბიჯის ისტორიის წინაშე გამართლების სურვილმა, დღევანდელი ხელისუფლება ერის წინაშე უდიდეს დანაშაულამდე მიიყვანა — ესაა სოციალური რევოლუციის ქადაგება, ანუ მარქსიზმის კლასთა ბრძოლის თეორიის აღდგენით ერის ორ ნაწილად გახლეჩა და მისი ერთი ნაწილის განადგურების მცდელობა, რასაც რეალურად მოჰყვა სისხლისღვრა — ამ დანაშაულს დღევანდელი ხელისუფლება ვერაფრით ჩამოირეცხავს. მე გულწრფელად მეცოდება ისინი, რადგან მათ უკვე წყევით დაუტევეს „თავი თვისი შთამომავლობას“.

●

ასეთია „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკის სრული კრახის ზოგადი სურათი. მაგრამ იგი ჯერ დამთავრებული არ არის. ყველაფერი ეს, ჯერ არ არის გასული მასობრივ ცნობიერებაში. მასის წინაშე კეკლუცობის პოპულისტური სურვილები სულ მალე თავის შედეგს გამოიღებს — ხალხი თავის ზურგზე იწვნევს პურის გაიაფებას, ეკონომიკური თვითბლოკადის, პრეზიდენტობანას თამაშის სავალალო შედეგებს. მაშინ მე არ ვიცი, საითკენ იქნება მიმართული ის იარაღი, რაც ჩამოსულ ხალხს დაურიგდა. ტრაგედია, საუბედუროდ წინაა და სექტემბერი მხოლოდ პირველი ზარი იყო.

ეს სექტემბრის კრიზისის ობიექტური მიზეზების შესახებ. მაგრამ მე ვფიქრობ, სუბიექტურად, აქ დიდი აღამიანური ტრაგედიები გათამაშდა.

ამ მხრივ, პირველ რიგში, პრეზიდენტი. ცხადია, ისტორია უმთავრესად მას მოჰკითხავს, მაგრამ ძალზე საინტერესოა, როგორ მოხდა, რომ ეს ელიტარული წრის და თავადაც ელიტარული ბუნების ადამიანი იძულებული გახდა, ერის ყველაზე გაუთვითცნობიერებელ ნაწილს დაკავშირებოდა. ნუთუ ასე ძლიერია ძალაუფლების წყურვილი, როგორც ამას ნიცშე ამტკიცებდა? თუ ასეა, მაშინ პიროვნული ტრაგედია ფაქტია. იქნებ ეს ყველაფერი დიდი ჩრდილის ქვეშ გაზრდილი, დიდი ამბიციების მქონე საშუალო ადამიანის შურისძიებაა? არ ვიცი, მომავალში ალბათ, გამოჩნდება ქართველი შტეფან ცვაიგი, რომელიც დაწერს ამაზე ფილოსოფიურ ესსეს.

●

დღეს გაოცებას და აღშფოთებას იწვევს მუხრან მაჭავარიანის მოქმედება. მარტივია ამის ახსნა 30 წლის წინ კომუნიზმზე და ლენინზე დაწერილი ლექსებით. მიზეზი გაცილებით ღრმაა და იგი პიროვნულ ტრაგედიად გაცნობიერდება.

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედება მთლიანად პატრიოტულ-ჰეროიკული ნიშნითაა აღბეჭდილი. მან უდიდესი როლი ითამაშა ეროვნული ცნობიერების გაღვიძებაში. ჩემს თაობას ახსოვს უბის წიგნაკში გადაწერილი, ხმარებისგან გაცრეცილი მისი ლექსები... და პოეტი მოესწრო იმის რეალურად განხორციელებას, რასაც მთელი შემოქმედებით ემსახურებოდა — ეროვნულ მთავრობას. გასაგებია, სად უნდა ყოფილიყო იგი ამ დროს. არა მგონია, ბატონი მუხრანი არ შეეწუხებინა თავისუფლების მოპოვების თანმხლებ უარყოფით მოვლენებს, მაგრამ საშუალებების ღირებულებას მიზნის ღირებულება აჯობინა. რას ვიზამთ, პოეტს ვერ მოსთხოვ, იყოს პოლიტოლოგი. ის, რომ ეროვნული რევოლუციის ნაცვლად ზელთ სოციალური რევოლუცია შეგვრჩა, რომლის ადრინდელ შედეგებს მთელი ცხოვრება ებრძოდა, ამის გაცნობიერება პოეტისათვის ერთბაშად ალბათ ძნელია. მაგრამ ვინ ვინ და პოეტმა კი უნდა იცოდეს, რომ თუკი თუნდაც უზენაესი მიზანი თავის განხორციელებისათვის ულირს საშუალებებს მოითხოვს, მაშინ ან თავად ეს მიზანია მცდარი, ანდა თუ ამ მიზნის ჭეშმარიტებაში ეჭვი არ გვეპარება, უნდა დავეჭვდეთ ამ მიზნის სამოსელში გახვეულ სხვა საეჭვო ღირებულების საგანს ხომ არ გვაჩეჩებენ.

●

უდიდესი პიროვნული ტრაგედიები განიცადა ქართული ინტელიგენციის უდიდესმა ნაწილმაც, რომლებმაც თავიდანვე ცნობიერად თუ არაცნობიერად აუღეს ალღო ახალი ხელისუფლების მოქმედებას და გვერდზე გადგნენ. არადა, ჩვენი ინტელიგენციის ამ თაობის უმთავრეს მამოძრავებელს, როგორც ითქვა ეროვნული იდეა წარმოადგენდა. ფაქტობრივად, მათ მოამზადეს ერი თავისუფლებისათვის საბრძოლველად და როცა იგი რეალურად განხორციელდა, თავად გაუცხოებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. დაფნის გვირგვინისა და მადლობის ნაცვლად მათ გაბანძგვლული და ჭუჭყიანი ჯაყოს სახემ შემოანათათ. კიდევ კარგი, ისტორია მეორეჯერ ფარსად მეორდება და დღევანდელ ჯაყოებს მათი წინამორბედის ძალა და შესაძლებლობა არ აღმოაჩნდათ, თუმცა ჯერ კიდევ ვინ იცის...

ტრაგიკულია იმ ადამიანთა ბედიც, რომლებსაც განგებით ყოფილ მმართველ პარტიაში მოუწი-

(დასასრული 3-ე გვ.)

(დასასრული)

ათ მოღვაწეობა. არა მგონია საქართველოში როდესმე ორთოდოქსი კომუნისტები ყოფილიყვნენ, თუმცა კი, ხელისუფლება ტოტალიტარული მმართველობის წესს ფართოდ იყენებდა განსხვავებული აზროვნების დასათრგუნავად. (ამისათვის კი იდეური კომუნისტობა საჭირო რომ არ იყო, ეს „მრგვალი მაგიდის" შემოქმედებამაც დაადასტურა). მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მათ, ავად თუ კარგად, ჩვენამდე მოიტანეს საქართველო. არც იმის დაუნახაობა იქნება, ბოლო პერიოდში მაინც, მმართველობით აპარატში ცენზს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. თუ მაღალ ეშელონებში არა, დაბალ ეშელონებში აქტიურად იყენებდნენ მცოდნე ადამიანებს. ცხადია, ყველა ვერ იქნებოდა მერაბ კოსტავა და არც იყო ეს შესაძლებელი, ამიტომ ორგანიზატორული უნარის მქონე ადამიანები აქტიურად მიდიოდნენ მართვის სხვადასხვა რგოლებში. რაც მთავარია, ისინი ქართველები იყვნენ. დღეს კი ის ადამიანები, რომლებსაც თვითონაც ჰქონდათ სურვილი მართვის სტრუქტურებში ყოფილიყვნენ და მხოლოდ თავიანთი უნიჭობის, ან ფეხის გადაბრუნების გამო ვერ მოხვდნენ იქ, მათ წარსულზე უკიჟინებენ და ამის შეხსენებით ნიჭისა და უნარის განხორციელების შესაძლებლობას უხშობენ. იმის ნაცვლად, გამოეცხადებინათ საყოველთაო შერიგება და პოლიტიკური ცხოვრება ყველას ნულიდან დაეწყო, ლიდერის მაგალითით წაქეზებული „მრგვალი მაგიდის" წვრილფეხობა ინტელექტით, გამოცდილებით მათზე ასჯერ მაღლა მდგომ ადამიანებს მორალურად თუ ფიზიკურად ანგარიშს უსწორებს.

აი, ამ ტრაგიკულმა ვითარებამ გამოიყვანა სექტემბრის დღეებში ქართველი ერის საუკეთესო ნაწილი ქუჩებში და არა „ერთი მუჭა" ოპოზიციის მოქმედებამ, როგორც ამის დახატვა სურს ნეობოლშევიკურ ხელისუფლებას. ეს გამოსვლა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის აზვირთება იყო და არა კომუნისტური პუტჩი, როგორც ამას ურცხვად ამტკიცებს ხელისუფლება.

რა არგუმენტები გვაქვს ვამტკიცოთ, რომ სექტემბრის გამოსვლები ეროვნულ-დემოკრატიულ რევოლუციას წარმოადგენდა?

ეს გამოსვლები ეროვნულ მიზანს ისახავდა იმდენად, რამდენადაც მიმართული იყო იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც თავისი ათთვიანი უგუნური მმართველობით, XX საუკუნის მიწურულს ავტორიტარული რეჟიმის დამყარებით მთელ მსოფლიოში გაუტეხა სახელი ქართველ ერს, ეჭვქვეშ დააყენა მისი კაცთმოყვარე და ჰუმანისტური ბუნება. ხელისუფლება დღევანდელ შეცვლილ ისტორიულ პირობებში გადაიქცა ერთადერთ დაბრკოლებად, რომელიც ხელს უშლის საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას. ცხადია, ხელისუფლებას შეუძლია ამტკიცოს, რომ მან ცენტრმა ოპოზიციის დახმარებით საგანგებოდ გაუტეხა სახელი, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლის — მისი ავტორიტეტის აღდგენა საერთაშორისო არენაზე უკვე აღარ მოხდება. ამიტომ ეროვნული ოპოზიციური პარტიების მხრიდან ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნა ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილი აღმოჩნდა.

სავსებით უეჭველია, რომ გამოსვლებს ჰქონდა დემოკრატიული წყობის დამყარების მიზანი. ეროვნული ერთიანობისა და მშვიდობის დამყარება, პიროვნების ღირსების ხელშეუხებლობა, კანონის უზენაესობა, სასახლის კამარილიის თვითნებობის ალაგმვა, ელემენტარული დემოკრატიული პრინციპების აღიარება, სიტყვის, პრესისა და მასობრივი ინფორმაციების საშუალებათა თავისუფლება, კერძო საკუთრების დამკვიდრება — აი, ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც მოითხოვდნენ ერთი თვის მანძილზე ქუჩაში მდგომი ერის საუკეთესო შვილები. ხოლო მათ აშინებდნენ, სცემდნენ, ტყვიას ესროდნენ ერთის მხრივ ზნედაცემული და ამასთან მათ მიერ გაბრიყვებული ხალხის ნაწილი. ის ნათელი რომლებიც ამ ადამიანებს ადგათ მხრებზე, აუცილებლად, ადრე თუ გვიან, მთელ საქართველოს მოეფინება, რადგან მათთან იყო ჭეშმარიტება.

ოპოზიციას არ უღალატია ეროვნული მოძრაობის მიერ აღიარებული მშვიდობიანი ბრძოლის ფორმებისათვის, მაშინაც კი, როცა სრულიად დაუცველი აღმოჩნდა ხელისუფლების მიერ წაქეზებული, გონებადაბნელებული, ეგზალტირებული და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ბრბოს წინაშე. უკვე შემდეგ იარაღით მის დასაცავად დადგნენ ისევ „მრგვალი მაგიდის", ანუ ოფიციალური ხელისუფლების ყოფილი წევრები, რომლებმაც არ ისურვეს მონაწილეობა ერის ერთი ნაწილის გენოციდში.

რა შედეგები მოჰყვა სექტემბრის გამოსვლებს? მართალია, დღეს ყველაფერი ძველებურად დარჩა, მაგრამ ხელისუფლება უკვე ვეღარ შეძლებს დემოკრატიის ჩახშობას და ერის საუკეთესო ნაწილის განადგურებას. სექტემბრის ამბებმა ერი შეარყია და გამოაფხიზლა. ამის შემდეგ იგი ბრმად აღარ მიენდობა ხელისუფლებას და მის მოქმედებას კრიტიკულად შეხედავს. საბოლოოდ გაერკვა ერის გონიერი ნაწილი და არც ერთი პატიოსანი ადამიანი არ ისურვებს ამ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას. რაც მთავარია, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით საკუთარი ხალხის სისხლის დამღვრელი ხელისუფლება მორალურად უკვე მკვდარია და მისი რეანიმაცია აღარ მოხდება. ამით ალბათ სოციალური მოძრაობა შეჯერი აშორდა საქართველოს ... დიდ უბედურებას გადაურჩება.

●

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ჩვენი „დიდი" მეზობლის პოზიციაზე, რომელმაც ფაქტობრივად, სრული ნეიტრალიტეტი დაიცვა და არ ჩარეულა კონფლიქტში. თავიდან ნათლად ჩანდა, რომ რუსეთი, რომელიც ახლა დემოკრატიის სამოსელს ირგებს, დაინტერესებული არ არის გვერდით დიქტატორული რეჟიმი ჰყავდეს. ამიტომ იგი მორალურად მხარს უჭერდა დემოკრატიისათვის ბრძოლას და ეს აშკარად ჩანდა საინფორმაციო პროგრამებში (ასევე იყო მთელ მსოფლიოში). მაგრამ საკმარისი იყო რადიკალურ ოპოზიციას ხმამაღლა განეცხადებინა თავისი მოთხოვნები — ეროვნული ყრილობის მოწვევა, 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე დამოუკიდებლობის აღდგენა, და საოკუპაციო ჯარების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვება, რომ მათი პოზიცია იმწუთსავე თავშეკავებული გამხდარიყო. ცხადია, რუსეთს საქართველოს სრული დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ძალებს დიქტატურული, მთელ მსოფლიოში სახელგატეხილი რეჟიმი ურჩევნია, რომელსაც სხვასთან მისასვლელი გზა აღარ დარჩენია.

14. X. 91 წელი.

# ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის" ორი

## განცხადება

**საჭიროდ** მიგვაჩნია, საქართველოში დემოკრატიის ინტერესებიდან და ადამიანის ელემენტარულ — ადამიანურ უფლებათა დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კი — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საყოველთაო ცნობის ინტერესებიდან გამომდინარე, რისი შეფერხების ძირითადი მიზეზიცაა საქართველოში დემოკრატიის სისუსტე, განვაცხადოთ შემდეგი:

ჩვენი თვალსაზრისით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება, რომლითაც ქ. თბილისში სექტემბრისა და ოქტომბრის თვეში მიმდინარე მოვლენები შეფასდა როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, არ ემყარება აღნიშნულ მოვლენათა ანალიზს, იგი მიღებულია უმაღლესი ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმრავლესობის მიერ საკუთარი უხეში შეცდომების, უფრო მეტიც, აშკარა უკანონო მოქმედებების შენიღბვისა და დაფარვის მიზნით.

დადგენილება მიღებულ იქნა საყოველთაოდ ცნობილი ელემენტარული პროცედურული ნორმების დარღვევით, კერძოდ, უზენაის საბჭოს არ მოუსმენია აღნიშნული მოვლენების შესახებ საპარლამენტო კომისიის ოფიციალური მოხსენება, არც გენერალური პროკურორის, არც შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ინფორმაცია, სადაც კონსტატირებული იქნებოდა უმნიშვნელოვანესი ფაქტობრივი გარემოებანი, რასაც უნდა დაფუძნებოდა მათი პოლიტიკური შეფასება. მოხდა ისე, რომ შეფასება მიეცა მოვლენებს, რომლებიც სათანადო წესით დადგენილი ჯერაც არ არის.

მიგვაჩნია, რომ ფაქტობრივი გარემოებების მიუკერძოებელი გადმოცემა თუ პარლამენტის უმრავლესობას არა, ფართო საზოგადოებას მაინც მიიყვანდა და მიიყვანს სექტემბერ-ოქტომბრის მოვლენათა სრულიად განსხვავებულ შეფასებამდე. კერძოდ, საზოგადოება აშკარად დაინახავდა და დაინახავს, რომ სექტემბრის მოვლენებში ჩართული აღმოჩნდა მრავალი პოლიტიკური ძალა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული შეხედულებებით, სხვადასხვა დეკლარირებული თუ ჭეშმარიტი მიზნებითა და ამოცანებით. აღნიშნული ჯგუფის მოთხოვნები იყო სიტყვისა და პრესის თავისუფლება, პოლიტპატიმრების განთავისუფლება, პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვა, პრეზიდენტის გადადგომა, სესიის მოწვევა. რაც სულაც არ წარმოადგენს მოწოდებას ხელისუფლების ძალადობით დამხობისაკენ. თუ მსგავსი რამ ითქვა ან დაიწერა სადმე ცალკე პიროვნების მიერ, იგი მოვლენათა ერთგვარი ექსცესი იყო და არ არსებობს საფუძველი, რომ ეს განზოგადებულ იქნას როგორც ყველასათვის საერთო პოლიტიკური მრწამსის გამოხატულება და ჭეშმარიტი მიზანი.

სექტემბერ-ოქტომბრის მოვლენების მონაწილე ჯგუფებს თუ ინდივიდებს და საერთოდ, სექტემბერ-ოქტომბრის მოვლენებს ოპოზიციური პარტიების მხრივ არ წარმართავდა ერთი საკოორდინაციო ორგანო ან კონკრეტული პიროვნება, რომელთა გარეშე პრაქტიკულად თუ თეორიულად წარმოუდგენელია არათუ სახელმწიფო გადატრიალება, არამედ თანამონაწილეობით ჩადენილი ნებისმიერი სამართალდარღვევა.

გასაოცარია, რომ სათანადო წესით არ დადგენილა მოვლენათა სუბიექტები, ორგანიზატორები (რადგან ისინი არ არსებობენ), ამსრულებლების წრე, მათი მიზნები და მოტივები და რომ ეს მოვლენები ერთობლიობაში შეფასდა როგორც სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ერთ-ერთი უმძიმესია სამართალდარღვევათა იერარქიაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სექტემბერ-ოქტომბრის მოვლენებს გააჩნდა ღრმა საფუძველი, რომელიც სათავეს იღებს აგვისტოს დღეებში საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფლების მიერ ჩადენილი უხეში შეცდომებიდან, 2 სექტემბრის ვანდალური აქტიდან, რასაც მოჰყვა მართლწესრიგის დარღვევათა შემდგომი ესკალაცია. ოპოზიციურმა ძალებმა ხელისუფლების მოქმედებებს სპონტანურად უპასუხეს დემოკრატიული მოთხოვნებით, რაც ხელისუფლების არაადეკვატური რეაგირების გამო გადაიზარდა მასობრივ არეულობაში. უმაღლესი ხელისუფლება კი თავისი თავშეკავებული მოწოდებებითა და აშკარა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებით გამოვიდა როგორც ამ არეულობათა ძირითადი ორგანიზატორი. კერძოდ, დანაშაულებრივი იყო პრეზიდენტის მოწოდება მოსახლეობის ერთი ნაწილისადმი, რომ თვითონ მოეხდინა მოსახლეობის მეორე. ოპოზიციური ნაწილის დათრგუნვა და „ჩახოცვა", რაც იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტმა დაარღვია მონოპოლია, რაც სახელმწიფოს ეკუთვნის, მასას გაუნაწილა.

სწორედ ამაზე უნდა ემსჯელა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, თუ მას მოვლენათა მიუკერძოებელი მსაჯულის პრეტენზია ექნებოდა. ასეთი მსჯელობა არ შემდგარა.

როცა ოპოზიცია შეეცადა საპარლამენტო დებატებში განსხვავებული, რაციონალური თვალსაზრისი შეეტანა, იგი წააწყდა უმაღლესი ხელისუფლებისა და პარლამენტის უმრავლესობის წინააღმდეგობას, რამაც აზრი დაუკარგა ოპოზიციის შემდგომ მონაწილეობას საკითხის განხილვაში.

თქმულიდან გამომდინარე, ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრი" პროტესტს აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ზემოხსენებული დადგენილების, როგორც უსაფუძვლოს, წინააღმდეგ და მოითხოვს 2 სექტემბრიდან დღემდე მომხდარი პოლიტიკური მოვლენების შემსწავლელი კომისიის რეალურ ამუშავებას, სათანადო მასალების სრული პუბლიკაციითა და ტელეჩვენებით.

ამასთან ერთად, საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ხელისუფლების მიერ სექტემბერ-ოქტომბერში ნაკისრი ვალდებულებების (კერძოდ, ტელევიზიაში „ოპოზიციისადმი" საათების დათმობის) შეუსრულებლობის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ იგი უარს ამბობს პოლიტპატიმრების განთავისუფლებაზე და დემოკრატიულ ცვლილებებზე მმართველობაში, შესაძლებელია მოქალაქეთა უკმაყოფილების ხელახლა გამოვლინება საქართველოში, რაზედაც პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება.

●

**საქართველოს** რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ ჩაიდინა ადამიანის უფლებების შემბღალავი მოქმედება და პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით დააპატიმრა საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი, ცნობილი ტელეჟურნალისტი ბატონი ვალერი კვარაცხელია.

ხელისუფლების ამ მოქმედებაში ჩვენ ვხედავთ არა მარტო უკანონობის აქტს, არამედ აგრეთვე პროვოკაციას, მიმართულს დაძაბულობის შემდგომი ესკალაციისა და მასობრივი საპროტესტო გამოსვლების ხელოვნურად მოწყობის წასაქეზებლად.

ამ წინასწარგანზრახული გეგმის განხორციელებით ხელისუფლება შემდგომშიც შეეცდება ყველა მისი შეცდომა, განსაკუთრებით კი ეკონომიკური წარუმატებლობა, ოპოზიციას გადააბრალოს და თავიდან აიცილოს მოსახლეობის სამართლიანი გულისწყრომა.

უზენაესი საბჭოს ფრაქცია დემოკრატიული ცენტრი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს აღნიშნული პიროვნების დაპატიმრების გამო და მოითხოვს ყველა პოლიტპატიმრის სასწრაფო განთავისუფლებას.

**ნოდარ ნათაძე, როლან გოცირიძე, ელდარ შენგელაია, დავით არევაძე, დავით ბერძენიშვილი, გივი ლობჟანიძე, პაატა კოღუაშვილი, თამაზ დიასამიძე, ანზორ ხიჯაკაძე, აკაკი ბობოხიძე.**

**რედაქციის შენიშვნა:** **გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ, რომ გაათავისუფლეს ტელეჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია.**

# იცოდეს ყველამ

ბევრმა არ იცის, მაგრამ ფაქტია, რომ შიდა ქართლში უკვე თითქმის ორი წელიწადია, რაც მძვინვარებს სისხლიანი ტერორი ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. ეს ტერორი განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ თვეებში. შიდა ქართლი იცლება ქართველი მოსახლეობისაგან. ქ. ცხინვალი უკვე დაიცალა. საქართველოს მიწა-წყალს უცხოელები ეუფლებიან. დღეს ოსი ეროვნების ბანდები, რომლებიც შეიარაღებულნი არიან უცხო ძალის მიერ, თავს ესხმიან ქართულ სოფლებს მაშინ, როცა სურთ. უკანასკნელი თავდასხმის შედეგად განადგურებულია და მოსახლეობისაგან დაცლილია ქართული სოფლები ქალეთი და ახალშენი, ალყაშია სოფ. ატოცი. მე ვერ ვიტყვი სრული დაბეჯითებით, როდის რა განაპირობებს ოსი ბანდების სურვილს, რომ თავდასხმა მოახდინონ ქართველებზე ამა თუ იმ პუნქტში. მაგრამ სრული კატეგორიულობით უნდა ვთქვა, თუ რატომაა, რომ მათ **შეუძლიათ** თავდასხმა მაშინ, როცა უნდათ:

ა) შიდა ქართლში დღეს იმყოფება სსრკ შინაგანი ჯარების რამდენიმე ასეული სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც მოქმედებენ. გარდა ამისა, იმყოფებიან სსრკ სპეცდანიშნულების მცირერიცხოვანი ნაწილები, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს დაქვემდებარებული ნაწილები (რომლებიც ოპერაციებში არ მონაწილეობენ) და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასაზღვრო ჯარების ნაწილები, რომლებსაც დაკავებული აქვთ ჩრდილოეთ კავკასიისაკენ მიმავალი უღელტეხილები და ბილიკები. საბჭოთა ნაწილებს დაკავებული აქვთ როკის გვირაბიც. ცნობილია, რომ მათი მოქმედება მიმართულია მხოლოდ ქართველების წინააღმდეგ, საქართველოს მილიციის ჩათვლით. საქართველოს ხელისუფლების მოვალეობა იყო და არის, წინააღმდეგობა გაუწიოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ამ აგრესიულ მოქმედებას: როგორც მინიმუმი, მან უნდა დააფიქსიროს ის ფაქტი, რომ სსრკ შეიარაღებული ძალები აწარმოებენ საბრძოლო მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადოს პროტესტი. საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე და **მოსთხოვოს** სსრკ-ს მისი ჯარების გაყვანა ხსენებული ტერიტორიიდან. ამის ნაცვლად, საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ **დაუკანონა** სსრკ შინაგან ჯარებს შიდა ქართლში მოქმედების უფლება, ახლა კი მხოლოდ სურვილს გამოთქვამს (და არა კატეგორიულ მოთხოვნას), რომ ეს ჯარები შიდა ქართლიდან გავიდნენ.

ბ) მას შემდეგ, რაც შიდა ქართლიდან გამოყვანილ იქნა მილიცია, მოსახლეობა **დაუცველია** მკვლელთა ბანდების პირისპირ. ოთხმილიონიანი ქართველი ერი ვერ იცავს თავს და თავის ტერიტორიას ოთხასათასიანი ერის — ჩვენი მოძმის, მაგრამ დღეს აგრესორისგან. მართალია, იმ ოთხასათასიან ერს დღეს ზურგში ორასმილიონიანი სხვა ქვეყანა უდგას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ საქართველოს უსიტყვო კაპიტულაცია მართებს!. საქართველოს ხელისუფლებას უნდა დაერაზმა ქართველი ერის რესურსები და სოფელ-სოფელ, უბან-უბან უნდა მოეწყო შიდა ქართლის ქართველი მოსახლეობის დაცვა თავის მიერ დაკანონებულ მოხალისეთა ძალით. მას ამის გაკეთება დღესაც შეუძლია. მაგრამ იგი ამას არ აკეთებს. ამგვარად, იგი არ ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების უპირველეს ფუნქციას — იგი არ იცავს და ვერ იცავს თავის ქვეყანას. ეს მე მიმაჩნია ერთ-ერთ ძირითად ბრალდებად საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, რომელსაც მას ისტორია წარუდგენს მომავალში და რომელიც ხალხმა (თუკი მოქალაქეობრივი შეგნება ეყო) უნდა წარუდგინოს დღეს.

ხელისუფლებამ შექმნა სპეციალური კომიტეტი, და იგი უდიდესი უფლებამოსილებით აღჭურვა მაშინ, როცა მიიჩნია, რომ ეს სჭირდება თვით მის დაცვას, მაგრამ მას არ შეუქმნია ასეთი კომიტეტი იმისათვის, რომ შიდა ქართლი და მისი მოსახლეობა დაეცვა. ეს არა მარტო სახელმწიფოებრივი მართვის შეცდომაა, არამედ პირველ ყოვლისა, მორალური დანაშაულია ქართველი ერის წინაშე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება შიდა ქართლში უკანონო ოსური ავტონომიის გაუქმების შესახებ სწორია. უფრო მეტიც: უზენაეს საბჭოს ამ დადგენილების არმიღების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მმართველი პარტიების დანარჩენი პოლიტიკა ამ სფეროში ავტონომიის გაუქმებამდეც, როცა სისხლიანი შემოტევა ქართველი ერის წინააღმდეგ შიდა ქართლში უკვე დაწყებული იყო, და მას შემდეგაც, ძირფესვიანად მცდარია. იგი მოუფიქრებელია და კაპიტულანტურია ერთსა და იმავე დროს. მან საქართველო ჩიხში შეიყვანა, ვინაიდან სსრკ არ დათმობს თავის პოლიტიკას შიდა ქართლში მანამდე, სანამ მსოფლიო დამოუკიდებლად არ გვცნობს, ხოლო მსოფლიო, სსრკ ჩათვლით, არ გვცნობს მანამდე, სანამ სტაბილობასა და დემოკრატიას არ მივაღწევთ. მე მოვითხოვ ხელისუფლებისაგან, რომ შიდა ქართლის პრობლემა დღეს საქართველოს პირველ პრობლემად აღიაროს, ერს სრული სიმართლე უთხრას და შექმნას უფართოესი უფლებამოსილებით აღჭურვილი საგანგებო კომიტეტი, საზოგადოებრიობის მონაწილეობით, ქართველი ხალხის მთელი ძალების ასამოქმედებლად ამ პრობლემის გადაჭრისათვის.

ამის არქმნა საქართველოს ღალატის ტოლფასია.

დღესვე უნდა შეიქმნას უზენაესი საბჭოს კომისია, ოპოზიციური ფრაქციების მონაწილეობით, მდგომარეობის ობიექტური შეფასებისათვის.

**ნოდარ ნათაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბიბლიით კურთხეული მთავრობა" და „ანგელოზისფრთიანი ოპოზიცია"

**გასული** კვირა რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში, პირველ ყოვლისა, იმითაა აღსანიშნავი, რომ ამ პერიოდში, საბედნიეროდ, არ მომხდარა შეიარაღებული შეტაკება ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხარდამჭერთა შორის.

საერთოდ კი, საუბედუროდ, სისხლი საკმაოდ ილვრება საქართველოში, კერძოდ, სამაჩაბლოში. არ შეიძლება არ ითქვას, იმ, „შინაური" საინფორმაციო ბლოკადის შესახებ, რომელშიც იმყოფება ჩვენი მოსახლეობა სამაჩაბლოში, ვთქვათ პირდაპირ, მიმდინარე ომთან დაკავშირებით. დიახ, ქართული საინფორმაციო საშუალებების მიერ მოწოდებული მწირი ინფორმაციით ძნელი გასაგებია, თუ რა ხდება სინამდვილეში იქ. ერთადერთი, რაც ამ ინფორმაციიდან შეიძლება დავასკვნათ, ისაა, რომ ოსები უტევენ, რომ იქაურ ქართველობას ძეტისმეტად უჭირს, (სამწუხაროდ, ყველაფერს თავისი ლოგიკა აქვს: **მაშინ, როცა „პრეზიდენტისა" და „კიტოვანის" გვარდიელები — და საერთოდ, ხელისუფლება — ოპოზიცია — ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვევით არიან დაკავებულნი, მაშინ როცა „ქუდზე კაცი", ლამის მთლად საქართველო თბილისში ჩამოვიდა „პრეზიდენტის დასაცავად", მაშინ როცა ავტომატიანი ჭეელები რუსთაველის პროსპექტზე დასეირნობენ, ბნელი ძალა იარაღით ხელში აქტიურად აკეთებს თავის შავ საქმეს!).** თუმცა, ხელისუფლება მთლად არ დუმს. ამასწინათ, გამოქვეყნდა რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს განცხადება, რომლითაც სამაჩაბლოში მდგომარეობის გამწვავება დიდწილად ბრალდება შერაბ კოსტავას საზოგადოებას, რომელიც იქ, განცხადების მიხედვით, „უკანონოდ და უნებართვოდ მოქმედებს". ამ მოქმედებასა და მის შედეგებზე უშიშროების საბჭომ ოფიციალურად მოიხსნა ყოველგვარი პასუხისმგებლობა. უცნაურია, ქართველები იბრძვიან ქართველების დასაცავად, ხელისუფლება კი, ამ ბრძოლას „უკანონოდ" აცხადებს.

ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველებს შორის წინა კვირას შეტაკება არ ყოფილაო. შეტაკება არა, და სროლა კი მოხდა თბილისში, კერძოდ, მწერალთა სახლს გარედან ტყვია დაუშინეს უცნობმა პირებმა.

ამ, მართლაც შემზარავ ფაქტს დიდი ყურადღება დაუთმო ტელევიზიამ და ოფიციალურმა პრესამ. ქვეტექსტებით ეს სროლა ოპოზიციას მიეწერებოდა. აგრეთვე „პირი მოეწმინდა" მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის ამასწინანდელ „აქციას" — კავშირის სახლის ერთკვირიან ჩაკეტვას (რაც შემდეგ იმით „გამართლდა", ბანდიტური თავდასხმა იყო მოსალოდნელიო): ხომ სწორად ვამბობდით, მწერალთა კავშირზე თავდასხმაა მოსალოდნელი, ხომ სწორად დავკეტია კარებიო.

არ შეიძლება იურისტებში მიღებული შეგონება არ გაგვახსენდეს: **„იკითხე, ვის აძლევდა ეს ხელს".** მკითხველისთვის მიგვინდვია იმის კითხვა, თუ ვის აძლევდა ხელს ეს „დროული" სროლა.

გრძელდებოდა მიტინგები. უფრო მეტად, მთავრობის სახლთან.

ჩვენბური მიტინგები რომ მხოლოდ მიტინგები არაა, ბევრი გაუთვალისწინებელი (ანდა გათვალისწინებული) შედეგებით რომ მთავრდება ბევრი მათგანი, ცნობილი ფაქტია.

სწორედაც რომ გაუთვალისწინებელი ამბავი მოჰყვა 21 ოქტომბრისათვის რესპუბლიკის მოედანზე ოპოზიციის მიტინგის დანიშვნას. როგორც კი ამის შესახებ ხმა გავარდა (კერძოდ, ეს განცხადება 20 ოქტომბერს „საკავშირო ტელევიზიით", პროგრამა „ტსნ"-ით გააკეთა ბატონმა თენგიზ სიგუამ), მეორე დღესვე გაჩნდნენ აღნიშნულ მოედანზე სანგრევი ტექნიკით შეიარაღებული მნგრეველები და ე. წ. „ანდროპოვის ყურების" ქვეშ მოთავსებული ტრიბუნის ნგრევა დაიწყეს.

ეს ტრიბუნა რომ დასანგრევი იყო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ სწორედ ახლა, ამ „დანგრეულ ქვეყანაში", სწორედ ოპოზიციის მიტინგის წინ ნგრევის დაწყება, ერთგვარ ეჭვს ბადებს, მიტინგის (და საერთოდ, ამ მოედანზე ოპოზიციის მიტინგების) **ჩასაშლელად** ხომ არ გადაიდგა ეს, „აქტუალური" ნაბიჯი?

მიტინგი კი მაინც ჩატარდა. ოღონდ კინოს სახლთან. ჩატარდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეგიდით.

თავი მოიყარა 5 000-ზე მეტმა კაცმა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სამიტინგე ტერიტორიის შედარებით მცირე მოცულობის მიუხედავად, არც ქუჩა გადაკეტილა, და არც ტრანსპორტის მოძრაობა შეწყვეტილა.

მიტინგმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩაიარა ხელისუფლების მკაცრი კრიტიკის ნიშნით. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრების — **გია ჭანტურიას (?), ...** **ვანო ხუხუნაიშვილის, თენგიზ შარმანაშვილის, ირაკლი ქადაგიშვილის, ირინა სარიშვილის; ბატონების თენგიზ სიგუას, ლევან ღვინჯილიას, ელდარ შენგელაიას, რუსლან მიქაბერიძის; ქალბატონების იზა ორჯონიკიძის, ლუიზა შაკიაშვილის გამოსვლებში** მკვეთრად უარყოფითად იქნა შეფასებული რესპუბლიკაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, ხელისუფლების ეკონომიკური, საშინაო და საგარეო პოლიტიკა. დაიგმო ცდები, იდეოლოგიური ნიადაგი შეუმზადონ ნაციონალ-სოციალისტური სტრუქტურების შექმნას.

საჭიროდ მიგვაჩნია ერთი გარემოების აღნიშვნა. ზოგიერთ გამოსვლაში იყო პიროვნების შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, რაც, ალბათ, არსად და არასდროს (მათ შორის თუნდაც ყველაზე მძაფრი პოლიტიკური ბრძოლისას) არაა გამართლებული, უბრალოდ „ლამაზი" არაა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ერთ-ერთი ორატორის მიერ პრეზიდენტის მისამართით ნათქვამი, „დროა წაეთრესო".

პრეზიდენტზე, შენი ქვეყნის პრეზიდენტზე ამგვარი ლაპარაკი არა მარტო შეურაცხმყოფელია (უბრალოდ, თუნდაც ელემენტარულად ადამიანური თვალსაზრისით), არამედ მთქმელსაც (და საერთოდ მიტინგს) არ ამშვენებს.

როგორც ითქვა, პარალელურად, მთავრობის სახლთანაც მიმდინარეობდა მრავალათასიანი „საინფორმაციო მიტინგი", რომელსაც ამჯერად უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ბატონი **ვახტანგ ქითავა** უძღვებოდა. მან კერძოდ, საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ პრეფექტების ელვისებური ცისისა-გახთავისუფლება მომავალშიც გაგრძელდება, რადგან „ეროვნული კადრების შერჩევა რთული პროცესია". და აქ ერთი ასეთი მაგალითი მოიხმო: წინა პრეფექტის დროს ქ. რუსთავიდან, სადაც 170.000 კაცი ცხოვრობს, არ ხერხდებოდა 150 კაცის ჩამოყვანაც კი პრეზიდენტის მხარდასაჭერად, ახალი პრეფექტის, ავთანდილ ჩიტაიას დანიშვნის შემდეგ კი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, — მან უკვე დღესვე გამოგზავნა მრავალი ადამიანი ჩვენს დასახმარებლადო. და ყველა პრეფექტს ასეთივე რადიკალური მოქმედებისაკენ მოუწოდა (აკი ჩვენ არ ჩამოგვყავს ხალხი რაიონებიდანო! — ფ. კ., კ. ლ.).

რაჭა-ლეჩხუმის მთავარეპისკოპოსმა **აბრაამმა** მომიტინგენი დაარწმუნა, რომ არასოდეს უღალატებენ პრეზიდენტსა და პარლამენტს. როგორც მან განაცხადა, „ხალხის მიერ არჩეული მთავრობა და პრეზიდენტი ბიბლიით არის კურთხეული. და ვინც მათ შეეწინააღმდეგება, დიდი რისხვა დაატყდება თავს".

პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში, კერძოდ, თქვა: „ამაოდ იმედოვნებს მტერი, რომ ხალხი გადაიღალა და არ შეუძლია ბრძოლა. ქართველი ხალხი მოუღალავია, ისევე როგორც მისი პრეზიდენტი... ჩვენი მტრის სასიკეთოდ საქმე არ მიდის, მისი რეიტინგი დღითიდღე ეცემა. რაც არ უნდა დაირქვან მათ, დემოკრატიული თუ ანგელოზისფრთიანი ოპოზიცია, ყველამ იცის, რომ ისინი მკვლელები არიან. მათ სისხლში აქვთ ხელები ამოსვრილი... ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ მათთან შერიგებას, მაგრამ ამაოდ. ახლა ისინი შეიკრიბნენ კინოს სახლის წინ, რუსთაველის ძეგლთან და ბილწავენ იქაურობას... ეს მოღალატეები თუ არ აილაგმენ, საქართველო დაიღუპება... 22 სექტემბრისა და 5 ოქტომბრის ვის მათ ხალხმა პასუხი უნდა მოსთხოვოს... მოღალატეები ვერ უნდა გაექცნენ პასუხისგებას, ყველა უნდა დაისაჯოს... უნდა იცოდეს ქართველმა ერმა, რომ ამ პროვოკატორების გამო, გართულდა ვითარება სამაჩაბლოში, აფხაზეთსა და ჯავახეთში... ცრუინტელიგენციამ შექმნა დემოკრატიის სამოსელში გამოწყობილი კავშირი კინოს სახლში. მათ დაუკავშირდა რადიკალური ოპოზიცია, ეროვნული მოძრაობის ეს მოღალატეები... სახალხო ფრონტიც მათ შეუერთდა. ეს არის კრიმინალური ორგანიზაცია, რომელსაც უკანონო შეიარაღებული ფორმირება ჰყავს, მას კი სისხლში აქვს ხელი გასვრილი... დასასრულს, ბატონმა პრეზიდენტმა ხალხს მოუწოდა სიფხიზლისა და კრემლის აგენტებისა და ყველა ჯურის მტრების წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლისაკენ (როგორც ვხედავთ, ბატონი პრეზიდენტი ჩვეულ სტილში საუბრობს. ფ. კ., კ. ლ.).

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა **აკაკი ასათიანმა** ისაუბრა თავისი არაოფიციალური ვიზიტის შესახებ მოსკოვში, რესპუბლიკაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეკონომიკურ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა თუ არმოწერა უნდა მოხდეს მთელი ერის ნების გათვალისწინებით...

გვიან საღამოს, მთავრობის სახლთან მდგარი სამშობლოს ერთგული შვილები და კინოს სახლთან მისული „სამშობლოს მოღალატენი" **მშვიდობიანად** დაიშალნენ და თავთავიანთ ოჯახებს მიაშურეს...

**ფელიქს კოჭიაშვილი,**
**კობა ლიკლიკაძე.**

**P.S. როგორც ცნობილი გახდა, მიტინგის მეორე დღეს „ედპ"-ს რამდენიმე წევრი დააპატიმრეს.**

# აქვს თუ არა ენას ძვალი?

## (თამაზ წივწივაძეს და სხვებს)

რომ ვაკვირდები, მართლა არა აქვს ენას ძვალი.

განსაკუთრებით ზოგიერთის ენას არა აქვს არც ძვალი და არც ისეთი აუცილებელი ადამიანურ-ქართული თვისებები, როგორიცაა სინდისი, თავმოყვარეობა, ნამუსი და ა. შ.

დღეს ერთიდაიგივე ენას შეუძლია თქვას: „ესა და ეს კაცი კომუნისტების დროს ცენზორად მუშაობდა და ახლაც იგივე საქმიანობას განაგრძობსო", ხოლო დაახლოებით წუთნახევრის შემდეგ, გადათქვას და დაამტკიცოს, ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მითქვიაო...

შე დალოცვილო, კაი, შეგეშალა, და თქვი, მერე გადათქვი, ნათქვამი სიტყვის კვალი მხოლოდ სულში რჩება, მაგრამ რომ წერ? ეს ხომ დოკუმენტად რჩება?! მერე სად გარბიხარ? გაივსო გაზეთები მაგ შენი დაწერილებით. იმ გაზეთშიც და ამ გაზეთშიც სულ შენი ჩივილი და ქვითინია, წალეკა დედიკო „იზვესტია" და მამიკო „ვრემია" შენმა ცრემლებმა, რაც რესპუბლიკაში ქაღალდი იყო, სულ შენი ნაწერების გაზეთებად გამოცემას მოხმარდა და რა ვქნათ, მაინცდამაინც ის ძველი ანეგდოტი მოგაგონოთ, კომუნისტების დროს გურულს რომ კითხეს, რატომ გამოიწერე ამდენი „კომუნისტიო" (გაზეთზეა ლაპარაკი) და გურულმა რომ უპასუხა, აბა, რა ვქნა, იქ რადიოს ხომ არ წავიღებო?

რა ვქნათ, ახლა ვილას ვუთხრათ — არ დაგავიწყდეს ვისი გორისა ხარო?!

რა იქნა ქართული რაინდობა, ქართული ჯიში, ქართული გვარი?..

ქართველებს მართლაც დიდებული გვარები გვაქვს.

რაც მთავარია, უმრავლეს შემთხვევაში, შიგ გვარშივე გიწერია კაცს ვინა ხარ, საიდან მოდიხარ და ვინ იყვნენ შენი წინაპრები.

ხომ ბავშვისათვისაც ნათელია, რომ მეძაბდეების წინაპარი პროფესიით ძაბდების მკეთებელი უნდა ყოფილიყო, მელვინეთუხუცესი — მეღვინეთუხუცესი, ხმალაძეების დიდ წინაპარს ალბათ, ხმლის ტმარება ეხერხებოდა, ხერხეულიძეებისას, ან ხის საჭრელი ხერხის, ან სხვა რამ ფანდის, მჭედლიშვილების წინაპარი, ალბათ, ცნობილი მჭედელი იყო, ჩხუბიანაშვილების წინაპრებს ალბათ, ჩხუბი უყვარდათ და ა. შ. ჩემი გვარის დიდ წინაპარს ალბათ ნიკო ან ნიკალა ერქვა, ამიტომ ვარ ნიკოლაძე.

გაურკვეველია მხოლოდ ერთი რამ. საიდან მოდის გვარი წივწივაძე.

შესაძლებელია ამ გვარის წარმომადგენლები ოდითგან კარგად წივწივებდნენ.

გინდა მამის და იყავი, გინდა დედის, გინდა ბებიის, თუ გერმანელი ვარ, ჩემთვის „ტანტე" ხარ და მორჩა. თუ რუსი ვარ „ტიოტია" ხარ, მაგრამ თუ ქართველი ვარ, კარგად ვანსხვავებ, დეიდა ხარ, მამიდა, ბიცოლა თუ სხვა.

ასეთი მდიდარია ქართული ენა.

ჰოდა, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ქართველ ხალხს გრგვინვისა და ბათქა-ბუთქის არ შეშინებია არასოდეს და წივწივის შეეშინდება?

არა, ნამდვილად არ აქვს ენას ძვალი.

თუმცა, რომ ვაკვირდები, სიტყვა „წივწივის" წარმოთქმას ენა ნაკლებად სჭირდება, გინდ ძვლიანი და გინდ უძვლო.

აბა სცადეთ, რამოდენიმეჯერ ზედიზედ ჩქარ-ჩქარა წარმოსთქვით სიტყვა „წივწივი" და თვითონ დარწმუნდებით. ასე რომ, წივწივში ენა საერთოდ არ მონაწილეობს.

ალბათ, ამის ბრალია, რომ წივწივაძეები, როგორც უნდათ, ისე აწივწივდებიან ხოლმე და მერე ისევ დაწივწივდებიან წიწილებივით.

სიმღერაც არსებობს — წივწივაძის წიწილები.

არ იციან საცოდავმა წიწილებმა, რაც უფრო მეტად აწივწივდებიან, მით უფრო მალე ჩამოიფრენს ბატონი ქორი...

სკოლაში ხომ ყველამ ვისწავლეთ —ქორმა წიწილა წაიღო...

— ჰო, მართლა, სკოლაზე გამახსენდა.

მე იმ სკოლაში ვსწავლობდი, ადრე რომ თბილისის ვაქთა მე-7 საშუალო და ახლა რომ 53-ე საშუალო სკოლა ჰქვია. ჩემზე სამიოდე კლასით წინ სწავლობდა ჩვენი უბნელი ბიჭი ავთო რცხილაძე. მე სკოლის თვითმოქმედების აქტიური წევრი ვიყავი, ვმღეროდი, ვუკრავდი, ჩვენი საოცარი მასწავლებლის, ქეთო ბრეგაძის მიერ ორგანიზებულ სპექტაკლებში ვთამაშობდი. ის ჩემი ნაცნობი ავთო, ძალიან კარგად მახსოვს, მღეროდა, მაგრამ არაფერზე არ უკრავდა. არ იცოდა, დაკვრა და იმიტომ. მერე მე უნივერსიტეტში გავაგრძელე სწავლა. იქაც ვაქტიურობდი თვითმოქმედებაში. ხან კონტრაბასზე ვუკრავდი, ხან საქსოფონზე, ხან დასარტყმელ ინსტრუმენტებზე, ხან ვმღეროდი, და ხან პანტომიმის სტუდიას ვაყალიბებდი. ავთო რცხილაძეს ადრინდელთან შედარებით უფრო იშვიათად ვხვდებოდი, არ სწავლობდა უნივერსიტეტში და იმიტომ. ტექნიკუმში სწავლობდა. არ იყო გაფუფუნებული ოჯახის შვილი და სწავლასთან ერთად კიდევ სადღაც მუშაობდა და ამდენ ორომტრიალში ალბათ, არა რჩებოდა დრო, რომ რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრა ესწავლა, იმიტომ, რომ ნამდვილად მახსოვს, ჯიუტად არ უკრავდა არაფერზე. მერე თეატრალურ ინსტიტუტში გავაგრძელე სწავლა. თვითმოქმედებას მოვეშვი და რეჟისურაში დაპროფესიონალება გადავწყვიტე. როგორც ხელოვნების ინსტიტუტის სტუდენტი, ხშირად ვინტერესდებოდი, რა ხდება ხელოვნების მეზობელი დარგების შესასწავლ უმაღლეს სასწავლებლებში და აღმოვაჩინე, რომ ავთო რცხილაძე კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტი გამხდარა. წარმოიდგინეთ, ისეთი ჯიუტი ბავშვი აღმოჩნდა ეს ავთო რცხილაძე, არც მაშინ არ უკრავდა არაფერზე.

მერე მე რეჟისორი გავხდი და 1980 წლიდან 1990 წლამდე თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის (ახლა უკვე მუსიკალური თეატრის) ჯერ დამდგმელ რეჟისორად და შემდეგ მთავარ რეჟისორად მომიწია მუშაობამ. იქვე, ჩემთან ერთად, მუშაობდა მსახიობი-სოლისტი ავთო რცხილაძე, რომელიც კვლავ ჯიუტად არ უკრავდა არცერთ ინსტრუმენტზე. სხვადასხვა როლებს თამაშობდა სხვადასხვა სპექტაკლებში და საკმაოდ სასიამოვნო ბარიტონით მღეროდა ხოლმე მასზე დაკისრებულ მუსიკალურ პარტიებს.

კაცო, მთელი ამ ხნის განმავლობაში ვიხსენებ და ვერაფრით ვერ გამიხსენებია, როდისმე უკრავდა ეს კაცი დოლზე.

ისე, ცოდვა გამხელილი ჯობია, ჩემო ძვირფასო მკითხველო, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ბატონ ავთანდილს ახლა კაცმა დოლი რომ მისცეს, ხელში და ძალიან შეეხვეწოს, შეიძლება ხელი კი შემოჰკრას, მაგრამ დაკვრით ნამდვილად ვერ დაუკრავს. არ იცის დაკვრა და იმიტომ.

მე დავუკრავ. მე ვიცი, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ დოლზე დაკვრის არც ცოდნა და არც არცოდნა სირცხვილი არ არის.

სირცხვილია, როდესაც შენს ენას ძვალთან ერთად სხვა რამეებიც არა აქვს.

არც ისაა სირცხვილი, 150 მანეთი რომ გაქვს ხელფასი ოჯახის პატრონ კაცს და ოჯახის ბიუჯეტის ნორმამდე ასაყვანად ოფიციალურ დამატებით შემოსავლის წყაროს თუ გაიჩენ ადამიანი. მაგ: მეტროს დიქტორობა, „ტაქსისტობა", ინდივიდუალური შეკვეთების მიღება კერვაზე. და სხვ.

ქვეყანამ იცის, რომ ჯეკ ლონდონი ოდესღაც მტვირთავად მუშაობდა და ბოლოს, მსოფლიოში ცნობილი მწერალი გახდა.

რონალდ რეიგანი, საშუალო მსახიობი — ამერიკის პრეზიდენტი...

ნიკო ფიროსმანაშვილი ოდესღაც მაწონს ყიდდა...

მაგალითებს იმდენს ჩამოვთვლი, მთელი გაზეთი არ ეყოფა...

ეჰ, მართლა არა აქვს ენას ძვალი...

...თუმცა, წივწივში, როგორც უკვე დავრწმუნდით, ენა საერთოდ არ ღებულობს მონაწილეობას, არც ძვლიანი და არც უძვლო.

წარსულ ზაფხულში რადიოკომიტეტში დამიძახეს, მოდი ერთი მხიარული რადიოგადაცემა მოვამზადოთ თქვენი მონაწილეობითო.

მოვედი.

გადაცემის შუაგულ ჩაწერაში მივხვდი, რომ არაფერი გამოვა და ბოდიში მოვიხადე, არ მეხუმრება, ბატონო, ირგვლივ ისეთი მდუღარე ტრიალებს, რა დროს ხუმრობაა და მოდი ისევ პოლიტიკაზე ვილაპარაკოთ-მეთქი.

ახლა ირგვლივ უარესი ამბავია. ახლა კიდევ უფრო არ მეხუმრება.

ძალიან გთხოვ, ძვირფასო მკითხველო, თუ ამ წერილის კითხვისას, სადმე ღიმილი მოგერია, ხუმრობაში არ ჩამომართვა.

განა სახუმაროა ის ამბავი, რომ ქართველთა ენას ქართული ძვალი აღარა აქვს?

**ვარლამ ნიკოლაძე**

**რედაქციისაგან:**

ერთი ანდაზა გვინდა გავახსენოთ პატივცემულ ავტორს — „მაური რომ დამიწუნო, უზილთუნი მაინც უნდა მიჩვენოო". ბატონ ვარლამს, ასე გულმოდგინედ რომ უწუნებს თ. წივწივაძეს ეთიკასა და ზრდილობას, თავად მაინც უნდა გამოეჩინა ამ თვალსაზრისით თავი. პირიქით კი მოხდა!

და კიდევ — ვარლამ ბატონი შესანიშნავი გვარის პატრონია, მაგრამ ახლა რომ დიდი ნიკო ნიკოლაძე გააცოცხლა, არ არის გამორიცხული, ასეთი ნიკოლაძისათვის ზურგი ექცია, სწორედაც წივწივაძის სასარგებლოდ.

ინდექსი 68447
ფასი 50 კაპ.
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 85. ტელ: 22-16-01.
იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საქართველო"-
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
X1
რედაქტორი ნოდარ ზრიზალაშვილი